

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტიცებულია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება
ზღვაზე

სილაბუსი

კოდი: ნდ №2- P. 0326-05

წარმოდგენილია პროფესიული განათლების
განყოფილების მიერ. სხდომის ოქმი №05, 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



<p>სასწავლო კურსის დასახელება და კოდი</p>	<p>საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე ნდ №2- P. 0326-05</p>
<p>სწავლების საფეხური</p>	<p>III საფეხური</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</p>	<p>გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</p>
<p>პასუხისმგებელი განყოფილება</p>	<p>პროფესიული განათლების განყოფილება</p>
<p>სასწავლო კურსის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი</p>	<p>ამირან მგელაძე საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 599 51 21 84 ელ-ფოსტა: a.mgeladze07@rambler.ru</p> <p>დურმიშხან შერვაშიძე----(პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების საწყისი ჩვევების კომპონენტი) 593 93 87 77 dusheri@rambler.ru</p>
<p>დაშვების წინაპირობები</p>	<p>წინაპირობის გარეშე</p>
<p>სასწავლო კურსის სწავლების მიზანი</p>	<p>გააცნოს ნაოსნობის უსაფრთხოებისათვის ძირითადი საერთაშორისო კონვენციების, ნაციონალური კანონმდებლობის, პირადი უსაფრთხოებისა და პირადი გადარჩენის წესები და მოთხოვნები, სამაშველო საშუალებების (ხანძარსაწინააღმდეგო და ინდივიდუალური საშუალებები, სამაშველო კანჯო) დანიშნულება და მათი ექსპლუატაცია-გამოყენება, რათა შეძლოს გემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში დროულად და ხარისხიანად მოქმედება.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები, განგაშის ტიპები, განრიგი; - უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები; - განგაშის ტიპები, სიგნალები, განრიგი განგაშის პირობებში; <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგაშის სახეობების ადეკვატურად, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; თავისი კომპეტენციების ფარგლებში: გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად; პირველადი აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;



	<p>კომუნიკაციის უნარი აქვს გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.</p> <p>სწავლის უნარი კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.</p> <p>ღირებულებები აცნობიერებს პროფესიის თავისებურებებსა და მაღალ რისკ-ფაქტორს. პროფესიისათვის გუნდური მუშაობის, კომუნიკაბელურობის, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობის უნარების აუცილებლობას.</p>									
<p>სასწავლო კურსის მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>5 კრედიტი. (1 კრედიტი=26 სთ)</p> <p>სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 14 კვირა და ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მე-9 - 22-ე კვირის პერიოდში.</p> <table border="1" data-bbox="453 824 1503 1182"> <tr> <td>საათების რაოდენობა</td> <td>სრული</td> <td>130 სთ.</td> </tr> <tr> <td>საკონტაქტო რაოდენობა</td> <td>საათების</td> <td>72 სთ. მათ შორის: -23 სთ. ლექცია -43 სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო (2სთ. შუალედური გამოცდა; 4 სთ. დასკვნითი გამოცდა)</td> </tr> <tr> <td>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</td> <td></td> <td>58 სთ.</td> </tr> </table> <p>სწავლების მეთოდები</p> <p>ლექცია, პრაქტიკული/მუშაობა სამუშაო ჯგუფში</p> <p>სწავლების მეთოდებიდან აქტიურად გამოიყენება როლური თამაშები და სიმულაციები, შემთხვევის/სიტუაციური ანალიზისა და დისკუსიის მეთოდები. ასევე სხვადასხვა ვიდეო მასალის დემონსტრირება, რომლის საშუალებითაც ხდება იმ კონკრეტული ქმედებების დემონსტრირება/ჩვენება, თუ რისი შესრულება მოუწევთ პროფესიულ სტუდენტებს დამოუკიდებლად, ასევე სწავლების ეს სახე ნათელს ხდის საკითხის/პრობლემის არსს და უყალიბებს სტუდენტს პრობლემის იდენტიფიცირების უნარს.</p> <p>ჯგუფური მუშაობა - პროფესიული თავისებურებებიდან გამომდინარე აღნიშნულ მეთოდს მნიშვნელოვანი როლი უკავია სწავლებისას. მეთოდი გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და შემდეგ უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში, რაც უვითარებს გუნდური მუშაობის, კომუნიკაბელურობის, პროფესიული და პირადი</p>	საათების რაოდენობა	სრული	130 სთ.	საკონტაქტო რაოდენობა	საათების	72 სთ. მათ შორის: -23 სთ. ლექცია -43 სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო (2სთ. შუალედური გამოცდა; 4 სთ. დასკვნითი გამოცდა)	დამოუკიდებელი მუშაობის საათები		58 სთ.
საათების რაოდენობა	სრული	130 სთ.								
საკონტაქტო რაოდენობა	საათების	72 სთ. მათ შორის: -23 სთ. ლექცია -43 სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო (2სთ. შუალედური გამოცდა; 4 სთ. დასკვნითი გამოცდა)								
დამოუკიდებელი მუშაობის საათები		58 სთ.								



		<p>პასუხისმგებლობის უნარებს.</p> <p>პრეზენტაცია - პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, მასალის მოძიების, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის ირგვლივ. პრეზენტაცია შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად.</p>
	<p>სწავლების სახეები</p>	<p>ლექცია, ჯგუფში მუშაობა</p>
<p>შეფასების წესი</p>		<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>
<p>შეფასების კომპონენტები და კრედიტიუმები</p>		<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოიცავს შემდეგი სახის შეფასებებს:</p> <p>შუალედური შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტიურობა -ცოდნის/უნარების დემონსტრირება - 5 ქულა • ჯგუფში მუშაობა - 5 ქულა • შემთხვევის ანალიზი/კაზუსი - 5X2 ქულა=10 ქულა • პრეზენტაცია - 10 ქულა • შუალედური გამოცდა/ტესტირება - 30 ქულა <p>დასკვნითი გამოცდა/ტესტირება - 40 ქულა;</p> <p>შუალედური და დასკვნითი გამოცდების ტესტი გულისხმობს როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებსა და სიტუაციურ ამოცანებს. ტესტური კითხვების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება სირთულის მიხედვით: დახურული კითხვა - 1 ქულა, ღია კითხვები - 1,5 ქულა და 2 ქულა, სიტუაციურ ამოცანა- 3 ქულა.</p> <p>შუალედური გამოცდის ტესტი შედგება: 12 დახურული კითხვა - 12X1ქულა=12 ქულა, 10 ღია კითხვა - 10X1,5ქულა=15 ქულა, სიტუაციურ ამოცანა-1X3 ქულა=3 ქულა. ჯამში - 30 ქულა;</p> <p>დასკვნითი გამოცდის ტესტი შედგება: 10 დახურული კითხვა - 10X1 ქულა=10 ქულა; ღია კითხვები: - 6X1,5 ქულა=9 ქულა, 6X2 ქულა=12 ქულა; სიტუაციურ</p>



	<p>ამოცანა- 3X3 ქულა=9 ქულა. ჯამში - 40 ქულა;</p> <p>ტესტი დადებითად ფასდება ტესტისათვის დადგენილ ქულათა ნახევარის ან მეტის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის სავალდებულოა შეფასების კომპონენტებში, აქტიურობა-ცოდნის/უნარების დემონსტრირებისა და ჯგუფში მუშაობა, დადებითი შეფასების მპოვება.</p> <p>აქტიურობა -ცოდნის/უნარების დემონსტრირება</p> <p>5 ქულა - აქტიურად არის ჩართული მეცადინეობის მსვლელობაში, სისტემატურად პასუხობს კითხვებს, პასუხები ზუსტი და ამომწურავია. ეფექტურად და ზედმიწევნით ახდენს შეძენილი უნარების/ცოდნის დემონსტრირებას.</p> <p>3-4 ქულა - აქტიურია, თითქმის ყველა კითხვას პასუხობს უშეცდომოდ. სისტემატურად ამუშავებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალას; უნარების დემონსტრირებას ახდენს თანმიმდევრულად, ზუსტად, უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს.</p> <p>1-2 ქულა - ნაკლებად აქტიურია, კითხვებზე პასუხი ხშირად არაზუსტია. არაეფექტურად და არათანმიმდევრულად ახდენს უნარების დემონსტრირებას, უშვებს უხეშ შეცდომებს.</p> <p>0 ქულა - არ აქტიურობს.</p> <p>შემთხვევის ანალიზი</p> <p>2 ქულა - შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, საკითხის ირგვლივ ზედმიწევნით ამომწურავი მსჯელობა და დამაჯერებელი არგუმენტირება.</p> <p>1 ქულა - შეუძლია საკითხის ირგვლივ მსჯელობა, დამატებითი არგუმენტების მოშველიება</p> <p>0 ქულა - საკითხს ვერ განიხილავს, მსჯელობა არადაამკამყოფილებელია.</p> <p>ჯგუფში მუშაობა</p> <p>5 ქულა - კარგად აქვს გაცნობიერებული გუნდური მუშაობის პრინციპები. შეუძლია საკუთარი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრის მოსმენა, შეფასება და გათვალისწინება.</p> <p>3-4 ქულა - ჩამოყალიბებული აქვს გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ასევე სხვისი აზრის მოსმენა.</p> <p>1-2 ქულა - უჭირს ჯგუფში მუშაობა, სხვისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება.</p> <p>0 ქულა - ვერ აცნობიერებს გუნდური მუშაობის პრინციპებს.</p> <p>პრეზენტაციის შეფასების სქემა:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>კრიტერიუმი</th> <th>ინდიკატორი</th> <th>შეფასების ქულა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td rowspan="4">ვიზუალური ნაწილი</td> <td>მოუწესრიგებელია, არ შეესაბამება შინაარსს, არაეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს</td> <td>0-1</td> </tr> <tr> <td>მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, ზოგადად შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს</td> <td>2-4</td> </tr> <tr> <td>მოწესრიგებულია, შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს</td> <td>5-7</td> </tr> <tr> <td>ზუსტად შეესაბამება შინაარსის ყველა კომპონენტს, ეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს</td> <td>8-10</td> </tr> <tr> <td rowspan="2">შესავალი</td> <td>ტრაფარეტული და უინტერესოა</td> <td>0-1</td> </tr> <tr> <td>მეტ-ნაკლებად იწვევს აუდიტორიის ინტერესს</td> <td>2-4</td> </tr> </tbody> </table>		კრიტერიუმი	ინდიკატორი	შეფასების ქულა	ვიზუალური ნაწილი	მოუწესრიგებელია, არ შეესაბამება შინაარსს, არაეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	0-1	მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, ზოგადად შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	2-4	მოწესრიგებულია, შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	5-7	ზუსტად შეესაბამება შინაარსის ყველა კომპონენტს, ეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	8-10	შესავალი	ტრაფარეტული და უინტერესოა	0-1	მეტ-ნაკლებად იწვევს აუდიტორიის ინტერესს	2-4
კრიტერიუმი	ინდიკატორი	შეფასების ქულა																	
ვიზუალური ნაწილი	მოუწესრიგებელია, არ შეესაბამება შინაარსს, არაეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	0-1																	
	მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, ზოგადად შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	2-4																	
	მოწესრიგებულია, შეესაბამება პრეზენტაციის შინაარსს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	5-7																	
	ზუსტად შეესაბამება შინაარსის ყველა კომპონენტს, ეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს	8-10																	
შესავალი	ტრაფარეტული და უინტერესოა	0-1																	
	მეტ-ნაკლებად იწვევს აუდიტორიის ინტერესს	2-4																	



		საინტერესოდ არის მოწოდებული და შეესაბამება შინაარსს	5-7
		ეფექტურია, არატრაფარეტული, იპყრობს ყურადღებას	8-10
თემის გასაგებად წარმოდგენა		საკითხი ბუნდოვანია, საუბრობს დაბნეულად	0-1
		მეტ-ნაკლებად გასაგებია, საკითხი მოითხოვს განმარტებებს	2-4
		გასაგებია, მაგრამ არის ხარვეზები, ითხოვს დაზუსტებას	5-7
		წარმოდგენილი საკითხი ნათელი, გასაგები და დამაჯერებელია	8-10
არგუმენტაცია		არგუმენტები მცირე და არადამაჯერებელია	0-1
		არგუმენტები აქვს, მაგრამ აკლია ფაქტობრივი გამყარება	2-4
		არგუმენტები საკმარისად ბევრი და დამაჯერებელია	5-7
		არგუმენტები ბევრი და დამაჯერებელია, გამყარებულია ფაქტობრივი მასალით	8-10
აუდიტორიასთან კონტაქტი		უჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი საუბრობს გაურკვეველად	0-1
		მეტ-ნაკლებად შეუძლია აუდიტორიასთან კონტაქტი	2-4
		გრძნობს აუდიტორიას და შეუძლია მასთან კონტაქტი	5-7
		ფლობს აუდიტორიას, ადეკვატურად რეაგირებს მის რეაქციებზე	8-10
საბოლოო ქულის გამოსაყვანად ქულათა ჯამი იყოფა 5-ზე.			
შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს ან მეტს.			
კვირა	სასწავლო კურსის შინაარსი	საათი	
		ლექცია	პრაქტიკული/ჯგუფური მუშაობა
I - II	<p>სილაბუსისა და შეფასების წესის გაცნობა. მსოფლიო საზღვაო ნაოსნობა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებების განვითარება და ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვა. სასწავლო კურსის დანიშნულება და შემადგენლობა. ამოცანები გემების უსაფრთხო და ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა</p> <p>1.1. საზღვაო ტერმინოლოგიის ცოდნის აუცილებლობა. ბრძანებების გაგება და სწორად შესრულება, მკაფიო და ზუსტი მოხსენებები. ბრძანებების სწორად გაგების, მათი შესრულების და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.</p> <p>1.2. გემის სათავსოების განლაგების და მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების ცოდნა. უსაფრთხო მუშაობის</p>	4	1



	<p>წესების მუდმივად შესრულება. გემებზე მოქმედებების გეგმების ცოდნა განსაკუთრებულ სიტუაციებში, ავარიის დროს ზომების მისაღებად.</p> <p>1.3. გემის სიცოცხლისუნარიანობა და მისი უზრუნველყოფა. ნორმატიული დოკუმენტები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ინსტრუქციები, სავარჯიშო განგაში, ტრენინგები, იმიტაციური საშუალებების გამოყენება. ტრენაჟერულ ცენტრებში მომზადება. IMO-ს მოდელ კურსები. კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. გადამზადების გავლის პერიოდულობა და კომპეტენციის დადასტურება.</p> <p>1.4. სიცოცხლისუნარიანობისთვის ბრძოლის ორგანიზება. განგაშის სახეები და სიგნალები, რომლებიც გადაიცემა განსაკუთრებულ სიტუაციებში. განგაშის ცხრილი. გემის ეკიპაჟის წევრების კონკრეტული მოვალეობები განგაშის ცხრილის მიხედვით. ავარიული პარტიები და ჯგუფები. შეკრების ადგილები. საკაიუტო ბარათები. პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის სწორად გამოყენება. ევაკუაციის გზები და მათი აღნიშვნები. ავარიული განათება. გემის შიგა კავშირგაბმულობის სისტემები და ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია.</p> <p>1.5. მოქმედებები განგაშის სიგნალების მიხედვით. მოქმედებები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული პოტენციური ავარიის აღმოჩენის შემთხვევაში, მათ შორის ხანძარი, გემების შეჯახება, მეჩქაზე დაჯდომა და გემში წყლის შემოსვლა.</p> <p>1.6. ექსპლუატაციური ან შემთხვევით ზღვის გარემოს დაჭუჭყიანების შედეგები. გარემოს დაცვის ძირითადი პროცედურები.</p> <p>1.7. უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა მუდმივად შესრულების აუცილებლობა. პოტენციური საშიშროებისაგან დაცვის გემზე არსებული უსაფრთხოების მოწყობილობები. უსაფრთხოების წესები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას ჩაკეტილ სათავსოში შესვლის წინ. საერთაშორისო მოთხოვნების გაცნობა უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და შრომის ჰიგიენის ცოდნის მიზნით. IMO-ს სიმბოლოები.</p> <p>1.8. ეკიპაჟის სხვა წევრებთან ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. კარგი ადამიანური და სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნება გემზე მუშაობის დროს. შრომისა და და დასვენების ნორმირება. საზოგადოებრივი მოვალეობანი. დაქირავების პირობები. ინდივიდუალური მოვალეობები. პრეპარატებისა და ალკოჰოლის ჭარბად მოხმარების საშიშროება.</p>			
<p>III</p>	<p>გადარჩენის მიზნით პირადი უსაფრთხოების ჩვევები</p> <p>2.1. შესაძლო ავარიული სიტუაციები, როგორიცაა: შეჯახება, ხანძარი, ჩაძირვა. ნებისმიერი ავარიული</p>	<p>2</p>		<p>2</p>



	<p>სიტუაციებისათვის მუდმივი მზადყოფნა. 2.2. მომზადებისა და სწავლის მნიშვნელობა. 2.3. ინდივიდუალური დამცავი ტანსაცმელი და აღჭურვილობა. გემზე სხვადასხვა სამუშაოებისას პირადი უსაფრთხოების ტექნიკა. 2.4. გემის სამაშველო საშუალებების სახეები და მათი მახასიათებლები. ინდივიდუალური სამაშველო საშუალებები: სამაშველო წრე, სამაშველო ჟილეტი, გასაბერი სამაშველო ჟილეტი, ჰიდროთერმოკოსტიუმი, ინდივიდუალური თბოდამცავი საშუალებები. 2.5. კოლექტიური სამაშველო საშუალებები: სამაშველო ტივები (გასაბერი და მკრივი), სამაშველო ნავეები, მორიგე ნავეები. 2.6. ინდივიდუალური სამაშველო საშუალებების ადგილსამყოფელი. 2.7. მოქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბრძანებებისას: გავეშუროთ სამაშველო ნავეებისა და ტივების ადგილმდებარეობისაკენ. მოქმედებები, რომლებიც უნდა ვაწარმოოთ გემის დატოვების შემთხვევაში. მოქმედებები, რომლებიც უნდა ვაწარმოოთ წყალში ყოფნის დროს. მოქმედებები, რომლებიც უნდა ვაწარმოოთ სამაშველო ნავეში და ტივში ყოფნის დროს. 2.8. ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ემუქრება უბედურებაში მყოფთ. 2.9. სამაშველო ნავეში ჩასხდომა გემიდან და წყლიდან. სამაშველო ნავის ჩაშვება. გემთან დაშორება. სამაშველო ტივის ჩაშვება. ტივში ჩასხდომა.</p> <p>შემთხვევის ანალიზი/კაზუსი</p>			
<p>IV- V</p>	<p>სამაშველო საშუალებების მართვა –მორიგე ნავეები, მათი მახასიათებლები და მარაგი. კოლექტიური სამაშველო საშუალებების კონსტრუქციები, მათი მახასიათებლები, მარკირება, მარაგი, დამატებითი მარაგი. მორიგე ნავეების კონსტრუქცია, მისი მახასიათებლები და მარაგი. –სამაშველო ნავეების ძრავები და დამხმარე მოწყობილობები. სამაშველო ნავის ძრავის გაშვების მეთოდები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების ექსპლუატაცია. ჰაერის მიწოდების ავტონომიური სისტემა, წყლით მორწყვის სისტემა. ცეცხლმქრობის გამოყენება. –სამაშველო ნავეების, ტივების და მორიგე ნავეების წყალში ჩასაშვები მოწყობილობების ტიპები. –სამაშველო ნავეებისა და ტივების ჩაშვების მეთოდები: წყნარ წყალში, ღელვის დროს, ავარიული კრენის ან დიფერენტის დროს. სამაშველო ნავეების და ტივების გემზე ამოღების მეთოდები. –სამაშველო ნავეების და ტივების მართვა ძლიერი ღელვის დროს. მცურავი ღუზისა და სხვადასხვა აღჭურვილობის გამოყენება. –სამაშველო საშუალებებზე გადარჩენის პრინციპები. სამაშველო საშუალების მეთაურის მოქმედებები სიცოცხლის უნარიანობის შესანარჩუნებლად. წყლის და საკვების განაწილება. სამაშველო საშუალებების მარაგისა და აღჭურვილობის გამოყენება. –მოქმედებები სამაშველო საშუალებების აღმოჩენის</p>	<p>1</p>	<p>3</p>	<p>6</p>



	<p>დასაჩქარებლად. პიროტექნიკური სასიგნალო მოწყობილობები. სამაშველო ნავებისა და ტივების რადიოტექნიკური მოწყობილობების (EPIRB, SART, VHF) გამოყენება და დანიშნულება.</p> <p>–სამაშველო საშუალებების ბუქსირება მორიგე ნავებითა და ტივებით, რომელთაც გააჩნიათ ძრავა. ადამიანების ძებნა და წყლიდან ამოყვანა. სამაშველო საშუალებების თავმოყრა. სამაშველო საშუალებების დახმარებით ნაპირზე გადასვლა.</p> <p>–შვეულმფრენის საშუალებით გადარჩენის ოპერაციები. უსაფრთხოების წესები გადარჩენის ოპერაციების ჩატარებისას შვეულმფრენით.</p> <p>–ძირითადი საშიშროებები და გადარჩენის ფაქტორები. ჰიპოთერმია, მისი სტადიები, თავდაცვის მეთოდები. ტანსაცმლის, საბნების, ჰიდროკოსტიუმების, თბოდამცავი საშუალებების გამოყენება. ჰიპოთერმიის პროფილაქტიკა.</p> <p>–პირველადი დახმარების აფთიაქის გამოყენება. დაზარალებული ადამიანის გრძნობაზე მოყვანის წესები. შოკური მდგომარეობიდან გამოყვანა. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.</p> <p>–ადამიანი ბორტის გარეთ (man is overboard). მოქმედებები ადამიანის ბორტის გარეთ გადავარდნის შემთხვევაში. განგაში „ადამიანი ბორტის გარეთ“ შესაბამისი მოქმედებები, დაკვირვება.</p> <p>შემთხვევის ანალიზი/კაზუსი</p>			
<p>VI- VII</p>	<p>ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა</p> <p>–ხანძრის თეორია. ხანძრის ქიმია. სახანძრო სამკუთხედი. აალებადი ნივთიერებები (მკრივი, თხევადი, გაზისებური). პიროლიზი, აორთქლება. ჟანგბადი. სითბო. სახანძრო ტეტრაედი. ხანძრის სახიფათო ფაქტორები, ხანძრის კლასიფიკაცია, შესაბამისი ცეცხლჩამქრობი საშუალებები.</p> <p>–ცეცხლჩამქრობი ნივთიერებები. წყალი. ქიმიური ქაფი. საჰაერო-მექანიკური ქაფი. ნახშირმჟავას აირი. ცეცხლჩამქრობი ფხვნილები საერთო და სპეციალური დანიშნულებით. გალონები (ხლადონი). სილა (ნახერხი). ორთქლი. ცეცხლჩამქრობი ქეჩა.</p> <p>–ხანძრის წარმოქმნის მიზეზები. უყურადღებობა თამბაქოს მოწვევის დროს. თვითაალება. ელექტრონული კვანძების და მოწყობილობების დაზიანება. სტატიკური ელექტრობა თვითნაკეთი კონსტრუქციები. ტვირთები. საწვავის გადატუმბვა. შედუღება და ჭრა. შეჯახება.</p> <p>–ხანძრის თავიდან აცილება. უსაფრთხოების ზომები ხანძრის თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია გემის პროექტით. ეკიპაჟის პასუხისმგებლობა. მეცადინეობები. ტრენინგები. პერიოდული შემოწმებები. Check-lists. ინფორმაცია ტვირთის შესახებ. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სქემა, ბუკლეტები, დოკუმენტაცია სანაპირო სახანძრო რაზმისათვის.</p> <p>–ხანძრის აღმოჩენა. სახანძრო ავარიული გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის ავტომატური სისტემები. კვამლსასიგნალო სისტემები. აირის აღმომჩენი სისტემები. ეკიპაჟის წევრის მოქმედებები, რომელმაც პირველად აღმოაჩინა ხანძარი. სავახტო თანაშემწის</p>	<p>2</p>	<p>4</p>	<p>11</p>



	<p>მოქმედებები სახანძრო სიგნალიზაციის ამუშავებისას, განგაშის და ხანძრის შესახებ მოხსენების შემდეგ ზღვაში და ნაპირზე. სავახტო თანაშემწის მოქმედებები მეზობელ გემზე ან პორტში ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში.</p> <p>–გადასატანი და სტაციონალური ცეცხლმქრობები. წყლის, ქაფის, ნახშირმჟავის, ფხვნილის, გალონის, სხვადასხვა ტიპის ცეცხლმქრობების გამოყენება.</p> <p>–ცეცხლმქრობი სტაციონალური სისტემები. წყალგამფრქვევი სისტემები. წყლის სისტემები. სტანდარტული საერთაშორისო შერტებები. სპლინკლერული სისტემები. ნახშირმჟავური სისტემები. ინერტული აირების სისტემები. ორთქლჩამქრობი სისტემები. ქაფჩამქრობი სისტემები. გალონური სისტემები. სტაციონალური მოწყობილობების გამოყენება (ინსტრუქციები).</p> <p>შემთხვევის ანალიზი/კაზუსი</p>			
<p>VIII</p>	<p>საევაკუაციო გზებისა და გადასასვლელების კონსტრუქციები და მოწყობილობები. A,B და C კლასის გადასაკეტი მოწყობილობები. ხანძარსაწინააღმდეგო ჩამკეტი კარები. უსაფრთხო სახანძრო სანაოი. აირანალიზატორები, მათი სახეები. სახანძრო ნაჯახები, მეხანძრის აღჭურვილობა. სითბოს ამრეკვლავი კოსტიუმები. თერმოგამძლე კოსტიუმი. სათავსოებში შეღწევის უზრუნველყოფა (1 და 2 კომპლექტის გასაღებები). გრაფიკული სიმბოლოები, რომლებიც გამოიყენება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სქემაში.</p> <p>–სასუნთქი აპარატები მათი სახეები და კონსტრუქციები. სასუნთქი აპარატი ჟანგბადის ქიმიური მიღებით. ავტონომიური სასუნთქი აპარატები ბალონის ტიპის, მოდულური სასუნთქი აპარატები შეკუმშულ ჰაერზე. აირწინაღები. გამოყენება და ტექნიკური მომსახურება. უსაფრთხოების ზომები სასუნთქ აპარატებთან მუშაობისას. სიგნალები, რომლებიც გადაიცემა სასიგნალო ტროსის მეშვეობით.</p> <p>–გემზე ხანძართან ბრძოლის ორგანიზაცია და სწავლებები. განრიგი განგაშების მიხედვით. ავარიული პარტიების და ჯგუფების მოვალეობები.</p> <p>–ბრძოლა ხანძართან. პირველადი მოქმედებები. ხანძრის რაიონის გამოკვლევა, შემოწმებული ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შემოწმებული ჯგუფის აღჭურვილობა, პირობითი სიგნალები. გემის მმართველ ჯგუფთან კავშირი. დროული მოხსენებების მოთხოვნა. ხანძრის ჩაქრობის თავისებურებები გემის სხვადასხვა განყოფილებებში (სატვირთო ტრიუმებში, საცხოვრებელ და სამუშაო სათავსოებში, სამანქანო განყოფილებაში და სხვა). ხანძრის ჩაქრობა წყლით დიდ ფართობზე. ხანძრის ჩაქრობა ქაფით, ფხვნილით და სხვა ქიმიური აგენტებით. ზოგიერთ სახის ტვირთების ჩაქრობის თავისებურებები. თხევადი საწვავის ჩაქრობა.</p> <p>–სასუნთქი აპარატის გარეშე შესვლა სათავსოში, სადაც გამოყენებული იყო მაღალჯერადი ქაფი, დამცავი ტროსის საშუალებით.</p> <p>–სასუნთქი აპარატით ხანძართან ბრძოლა დახურულ, კვამლით შევსებულ სათავსოში.</p>	<p>2</p>	<p>4</p>	<p>-</p>



	<p>–ადამიანის გადარჩენა კვამლით შევსებულ სათავსოში სასუნთქი აპარატის და სახანძრო აღჭურვილობის გამოყენებით. შემთხვევის ანალიზი/კაზუსი</p>			
IX	შუალედური შეფასება	2	12	
X	<p>ხმელეთზე განთავსებულ ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟერზე მომზადება (SHBFF) –SHBFF ტრენაჟერზე უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების წესების ინსტრუქტაჟი. SHBFF ტექნიკური საშუალებების გაცნობა, რომლებიც პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება. –ავარიული გამოსასვლელი გზების და ევაკუაციის გზების გაცნობა. სასუნთქი აპარატები და მათი გამოყენება. უსაფრთხოების წესები სასუნთქი აპარატების გამოყენებისას. სხვადასხვა ტიპის ცეცხლმქრობი მოწყობილობების გამოყენება. –ხანძართან ბრძოლა. სათავსოს ჰერმეტიზაცია. სახანძრო პარტია და მისი შემადგენლობა. პირველადი მოქმედებები. ხანძრის რაიონის გამოკვლევა. დაზვერვის ჯგუფის უსაფრთხოების გამოყენება. დაზვერვის ჯგუფის აღჭურვილობა. პირობითი სიგნალები. დაზვერვის ჯგუფის კავშირი გემის ხელმძღვანელობასთან. ამომწურავი, სრული და დროული პატაკები. –ხანძართან ბრძოლის მეთოდები. შეტევა. ხანძრის ლოკალიზაცია. ხანძარი კონტროლირებადია. ხანძარი ჩამქრალია. ხანძრის ნარჩენების ლიკვიდაცია. მცირე კერის მქონე ხანძრის ჩაქრობა (ელექტროსადენების, ნავთობის, პროპანის აალება). დიდი კერის ხანძრის ქრობა წყლით. სახანძრო მონიტორების გამოყენება. ხანძრის ქრობა ქაფის საშუალებით. –სათავსოში შესვლა, გავლა და გამოსვლა, რომელშიც გამოყენებულია მაღალჯერადი ქაფი დამცავი ტროსის გამოყენებით სასუნთქი აპარატის გარეშე. ხანძართან ბრძოლა ჩაკეტილ კვამლიან სათავსოში ავტონომიური სასუნთქი აპარატის საშუალებით. –ხანძრის ქრობა წყლის ნისლით ან სხვა საქრობი ნივთიერებით ცეცხლით ან კვამლით მოცულ საცხოვრებელ ან სამანქანე განყოფილების იმიტირებულ სათავსოში. ნავთობის ხანძრის ქრობა წყლის ნისლის, მშრალი ქიმიური ფხვნილების და ქაფის საშუალებით. ადამიანის გადარჩენა კვამლიან სათავსოში სასუნთქი აპარატის გამოყენებით. მთლიანი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის პრაქტიკული გამოყენება.</p>		16	
XI- XII	<p>პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების საწყისი ჩვევები –სამედიცინო აღჭურვილობა პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების გაწევისთვის: გემზე, სამაშველო ნავზე, პორტში. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის საერთო პრინციპები. –ძირითადი ცნებები ადამიანის ანატომიისა და ორგანიზმის ფუნქციების შესახებ. ქსოვილები, ორგანოები.</p>	8	12	8



	<p>სისტემები. –დაშავებულის მდგომარეობის განსაზღვრა. ჭრილობები. სისხლდენები. კუნთების დაჭიმვა, ამოვარდნილობები, მოტეხილობები. შოკი. დამწვრობა. ელექტროტრამვა. მზის და სითბური დამწვრობა. –დაშავებულის დანმარება. ევაკუაციისათვის მზადება და ტრანსპორტირება შემთხვევის ადგილიდან. ევაკუაციის შესაძლებლობები (ერთი ადამიანის მიერ, ორის მიერ, საკაცის ან სხვა საშუალებების გამოყენებით ჰორიზონტალურ ან დახრილ პალუბაზე/ტრაპზე). დაშავებულის გამოყვანა ხერხემლის ტრამვით.</p> <p>პრევენცია</p>			
<p>XIII</p>	<p>ტანკერებზე მუშაობის გაცნობითი კურსი, ნედლი ნავთობით ტანკების გარეცხვა. ინერტული გაზის სისტემა, გემის უსაფრთხოების გაცნობითი კურსი.</p> <p>–ნავთობშიდი ტანკერები. საერთაშორისო და ნაციონალური წესები ნავთობშიდი ტანკერებისათვის.</p> <p>–ნავთობპროდუქტების ძირითადი თვისებები და მათი საშიშროება. ნავთობის, ქიმიური ტვირთების და აირების ფიზიკური თვისებები, რომლებიც გადააქვთ თხევადი სახით. აორთქლების ტემპერატურასა და წნევას შორის დამოკიდებულება. დუღილის ტემპერატურასა და წნევას შორის დამოკიდებულება. აალების ქვედა ზღვარის და აფეთქების ტემპერატურა. გაჯერებული ორთქლის წნევა. დიფუზია. პარციალური წნევა. ელექტროსტატიკური მუხტი.</p> <p>–საშიშროებები, რომლებიც დაკავშირებულია სატვირთო ოპერაციებთან და ნავთობპროდუქტების გადატანასთან. საერთო ტოქსიკურობა. ნავთობპროდუქტების ტოქსიკურობა. ინერტული გაზის ტოქსიკურობა. ჟანგბადის უკმარისობა. აფეთქებისა და აალების საშიშროება. ელექტრული საშიშროება, დამიწება.</p> <p>–საშიშროება გარემოს მიმართ. აირების, ქიმიური ნივთიერებების და ნავთობის ადამიანზე, ზღვის ფლორისა და ფაუნაზე ზემოქმედება. აირების დრუბლების გადაადგილების საშიშროება. ატმოსფერული პირობებისა და აირების წნევის ზემოქმედება. რეაქცია. პოლიმერიზაცია. რეაქცია ჰაერთან, წყალთან და სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან. კოროზიის საშიშროება. კონსტრუქციული მასალების კოროზია. წყალბადის კონსტრუქცია და ევოლუცია.</p> <p>–ჩაკეტილ სათავსოებში შესვლის უსაფრთხოების წესები. სტატიკური ელექტრობიდან დაცვა. ტანკერებზე ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი. აირანალიზატორები. დამცავი აღჭურვილობა. ჰაერისა და წყლის დაბინძურების თავიდან აცილების პროცედურები. ნავთობის დაღვრის დროს მისაღები სასწრაფო ზომები.</p> <p>–ნავთობ შიდი ტანკერების მოწყობილობები და აგებულება. ტანკერების კონსტრუქციები. ტუმბოები, მილსადენები. სატვირთო ტუმბოების ტიპები და მათი</p>	<p>4</p>	<p>4</p>	<p>8</p>



	<p>მანსიათებლები. ტვირთის შეთბობის სისტემა. ვენტილაციის სისტემა. ტვირთის დონის გაზომვის სისტემა. დამცავი აღჭურვილობა.</p> <p>–საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნები. გემის დაცვის გეგმა. გემის დაცვის ოფიცერი. სწავლება და სასწავლო განგაშები. დაცვის მაშველი ღონისძიებები და მოქმედებები საგანგებო სიტუაციებისას. სერტიფიცირება და შემოწმებები. შემოწმება.</p> <p>შემთხვევის ანალიზი/კაზუსი</p>			
<p>XIV</p>	<p>დასკვნითი გამოცდა</p>	<p>4</p>	<p>12</p>	
<p>სავალდებულო ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1.დურმიშან შერვაშიძე. ზღვაოსანთა კარაბადინი (მეზღვაურთა სამედიცინო დახმარების ორგანიზება ზღვაში). ბათუმი, 2012. 2. გემის დატოვება ექსტრემალურ სიტუაციაში. სახელმძღვანელო. ბათუმი, 2003. 3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №326 “ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე, 2013 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი 4.Международный кодекс по спасательным средствам (Кодекс Л. СА). ЦНИИМФ, 2000. 5.Международный кодекс по системам пожарной безопасности. ЦНИИМФ, 2004. 6.Наставление по спасению и выживанию на море. Ильичевск, 2007. 7. С. Ю. Развозов, А. Н. Стратко. Безопасность плавания. Учебное пособие, часть1. Санкт-Петербург 2001г. 8. С. Ю. Развозов, А. Н. Стратко. Безопасность плавания. Учебное пособие, часть2. Санкт-Петербург 2002г. 9.International Convention for the Safety of Life at Sea (SOLAS), 1974; 10.International Convention for the Prevention of Pollution from Ships (MARPOL 73/78); 11.International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers (STCW78/95); 12.International Safety Management Code 1993; 13.International Ship and Port Facility Security Code 2004. 			
<p>დამხმარე ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. Резолюция А.615(15) ИМО. Радиолокационные маяки-ответчики и судовые радиолокационные ответчики. 2. Резолюция А.654(16) ИМО. Графические символы, относящиеся к схемам противопожарной защиты. 3. Резолюция А.657(16) ИМО. Инструкция по действиям в спасательных шлюпках и плотках. 4. Резолюция А.658(16) ИМО. Использование и нанесение световращающих материалов на спасательные средства. 5. Резолюция А.756(18) ИМО. Руководство относительно информации, которую следует предусматривать в схемах противопожарной защиты и в буклетах, требуемых правилами 20 и 41-2 главы II-2 Конвенции СОЛАС-74. 6. Резолюция А.759(18) ИМО. Маркировка надувных спасательных плотов. 7. Резолюция А.760(18) ИМО. Символы, относящиеся к спасательным средствам и устройствам 8. საქართველოს კანონი საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ, 29.09.2000 			



	<p>ინტერნეტ-რესურსები</p> <p>http://mta.gov.ge</p> <p>http://www.imo.org/</p> <p>http://www.maritime-union.org/</p> <p>http://www.istok.angara.ru/Hand_book/Save/Save.htm</p> <p>http://sea-library.ru/bezopasnost-plavanija.html</p> <p>საზღვაო ლექსიკონი</p> <p>ყოველი ლექციის შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული სახით მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მომზადებული სალექციო მასალა.</p>
--	---



პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

